

კონკურენტუნარიანობა და მისი ფაქტორები.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები

ბეშკენაძე ზვიადი – ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Competitiveness and Its Factors.

The Way of Upgrading of National Competitiveness

Beshkenadze Zviadi – Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The work touches upon studying of urgent questions linked to competitiveness. Especially, in the work is analyzed concept, types of competitiveness and determined main point of economic category. Here is also presented analysis of basic factors affected on competitiveness, peculiarities of formation of competitiveness in different hierarchical stages and others.

On the basis of analysis there is given approach of the author to concept of the competitiveness. Among the competitiveness levels, the main ring is found which should be taken as a “target” by the state and that should ultimately determine competitiveness of Georgian economics. Especially, here is substantiated the base of all level of competitiveness is the meso-level- industrial level, which should make a base for other stages. Here are also underlined basic factors which affect on development of competitiveness. Here is displayed system of arrangements which support upgrading of competitiveness at micro level, meso-level and macro level in short and long terms.

The main problem for the country is the achievement of sustainable economic growth, which is closely connected with competitiveness at micro level, meso-level and macro level. Competitiveness is the basis of achievement of stable, inclusive economic growth, which is the sign of social and economic development of the country. So, providing of competitiveness is the main problem for the country and it’s very difficult to achieve it even under the term of globalization and closely integrated world. Any research which is connected with the competitiveness is sufficiently topical.

The main goal of the research is to determine competitiveness of economics as the main point of macroeconomic category, to analyze main affecting factors, to develop mechanisms for its upgrading.

Research methodology: In the research there are used methods of abstraction, positive and normative analysis and synthesis, induction and deduction, comparison, dynamic analysis.

Results and implications: On the basis of analysis of concept of competitiveness basic findings are the following: it is the dynamic category; competitiveness is determined at micro level, meso-level and macro level. In competitive economics there is provided macroeconomic stability, high rate of economic growth, social welfare and it’s directed to innovations.

The levels of competitiveness have close interconnection. In developing economics where competitiveness is weak at all hierarchal stage, meso-level is the main ring for competitiveness. In case of competitiveness growth at this level it can give cumulative effect at the rest levels of competitiveness regarding upgrading. Macro level is the summarizing level of competitiveness which determines main terms of operation of the national economics.

Conclusion: As meso-level is the basis of all levels of competitiveness and main link to other levels in transformed economy, the state should take industrial level as the main “target”. If the competitiveness will be upgraded at the level this will ensure “synchronized” growth of competitiveness in all directions.

In order to increase the competitiveness of the country it is recommended to support competition, to assist the access to new (including foreign) economic agents on the market oligopoly segments (including the first banking credit sectors) and to increase market efficiency; to improve investment climate; to support financial market development; to develop real and social infrastructure; to upgrade the efficiency of state institutions; to create a tax system based on encouraging of prioritized sectors and to make it simpler; to encourage innovation activity; to enhance technological and innovative potential of priority sectors by ensuring them with modern scientific achievements, offering state leasing services and others; to upgrade labor resources, qualifications and others.

Keywords: National competitiveness, Competitiveness at micro level, Competitiveness at meso-level, Comparative preference, priority branches, economic growth.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: ქვეყნის მთავარ პრობლემას წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც თავისთავად მჭიდროდაა დაკავშირებული კონკურენტუნარიანობასთან მიკრო, მეზო და მაკროდონეზე. კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს სტაბილური, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის საფუძველს, რაც თავის მხრივ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ამდენად, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს. მისი მიღწევა კი, გლობალიზაციის, მჭიდროდ ინტეგრირებადი მსოფლიოს პირობებში, საკმაოდ რთული პრობლემაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი კვლევა, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტუნარიანობის საკითხებთან, საკმაოდ აქტუალურია.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, როგორც მაკროეკონომიკური კატეგორიის არსის განსაზღვრა, კონკურენტუნარიანობის ძირითადი მდგენელებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება, მისი ამალღების უზრუნველსაყოფად მექანიზმების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოყენებულ იქნა აბსტრაქციის; პოზიტიური და ნორმატიული ანალიზისა და სინთეზის; ინდუქციისა და დედუქციის; შედარების; დინამიური ანალიზის მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: „კონკურენტუნარიანობის“ ცნების ანალიზიდან გამომდინარე მთავარი დასკვნები მდგომარეობს შემდეგში: ის წარმოადგენს დინამიურ კატეგორიას; კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მიკრო, მეზო და მაკროდონეზე; კონკურენტუნარიან ეკონომიკაში უზრუნველყოფილია - მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, სოციალური კეთილდღეობა და ის მიდრეკილია ინოვაციებისადმი.

კონკურენტუნარიანობის დონეებს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. განვითარებად ეკონომიკაში, სადაც კონკურენტუნარიანობა მის ყველა იერარქიულ საფეხურზე სუსტია, მეზო დონე წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მთავარ რგოლს. თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტუნარიანობის ზრდა ამ საფეხურზე მან შეიძლება კუმულაციური ეფექტი მოგვცეს კონკურენტუნარიანობის დანარჩენ დონეებზე ზრდის მიმართულებით. მაკროდონე წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის „შემაჯამებელ“ დონეს, რომელზეც განისაზღვრება მთლიანად ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი პირობები.

დასკვნა: რამდენადაც ტრანსფორმირებად ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის ყველა დონის საფუძველსა და მის სხვა საფეხურებთან დამაკავშირებელ ძირითად რგოლს მეზოდონე წარმოადგენს, სახელმწიფომ მთავარ „სამიზნედ“ საწარმოო დონე უნდა აიღოს. თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტუნარიანობის ზრდა ამ საფეხურზე ეს განაპირობებს კონკურენტუნარიანობის „სინქრონულ“ ზრდას მისი ყველა მიმართულებით.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამალღების მიზნით მიზანშეწონილია: კონკურენციის მხარდაჭერა, ბაზრის ოლიგოპოლიურ სეგმენტებზე (მათ შორის უპირველესად საბანკო-საკრედიტო სექტორში) ახალი (მათ შორის უცხოური) ეკონომიკური აგენტების დაშვებაზე ხელშეწყობა და ამით ბაზრის ეფექტურობის ამალღება; საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება; ფინანსური ბაზრის განვითარებაზე ხელშეწყობა; რეალური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; სახელმწიფო ინსტიტუციების ეფექტურობის ამალღება; პროგრესული, პრიორიტეტულ სექტორების წახალისებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის შექმნა და მისი კიდევ უფრო გამარტივება; საინოვაციო აქტიურობის წახალისება; პრიორიტეტული სექტორების ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის ამალღება მათი თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებით უზრუნველყოფის, სახელმწიფო სალიზინგო მომსახურების შეთავაზების და ა.შ. გზით; შრომითი რესურსები კვალიფიკაციის ამალღება და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული კონკურენტუნარიანობა, კონკურენტუნარიანობა მიკროდონეზე, კონკურენტუნარიანობა მეზოდონეზე, შეფარდებითი უპირატესობა; პრიორიტეტული დარგები; ეკონომიკური ზრდა.

კონკურენტუნარიანობა - დინამიურად განვითარებადი, კომპლექსური და მრავალმხრივი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მრავალ წყაროში - სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში - განიმარტება არაერთგვაროვნად. საერთო ტენდენციები ცნებასთან დაკავშირებით შემდეგია: ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ ხშირად გამოიყენება - წარმოებულ პროდუქციასთან მიმართებით, ფირმის დონეზე, ეკონომიკური სისტემის მიმართ, ანუ ის განიხილება - საქონლისა და წარმოების (მიკრო), დარგებისა და მათი გაერთიანებების (მეზო), რეგიონებისა და ქვეყნის (მაკრო) დონეზე და რეგიონალური გაერთიანებების (ჰიპერმაკრო) დონეზე; ის ზოგჯერ განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) ან/და საწარმოების კონკურენტუნარიანობისა ან მწარმოებლურობის საშუალებით; აქცენტი კეთდება მისი დროში ცვლილებაზე; ამ ცნების არსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ყველა შემთხვევაში საუბარია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილის შესაძლებლობაზე კონკურენცია გაუწიოს თავის მეტოქეს ბაზარზე [1:86]; თუ უფრო სხვაგვარად ვიტყვით ის ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკის სუბიექტების, ან/და მათი გაერთიანებების, ან/და მთლიანად ეკონომიკური სისტემის, ან/და რეგიონული გაერთიანებების მცდელობა (შესაძლებლობა) მიაღწიოს წარმატებას მეტოქეებთან კონკურენტულ ბრძოლაში; კონკურენტუნარიანობის შედეგს, როგორც წესი, წარმოადგენს ცხოვრების ხარისხი, სოციალური კეთილდღეობის დონე და მთლიანობაში ქვეყნის კეთილდღეობა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონკურენტუნარიანობის ცნებას ვიხილავთ კონკრეტულად მაკროდონეზე, მთლიანად ეროვნული ეკონომიკის (ქვეყნის) დონეზე, მიდგომები აქაც ცალსახა არაა. მას განსხვავებულად განიხილავენ მეცნიერ-ეკონომისტები, მასთან დაკავშირებული რეიტინგების ავტორები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (WEF, IMD, OECD და სხვ.). მაგალითად, მ. პორტერი აღნიშნავს, რომ: „არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ტერმინის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრა ქვეყანასთან მიმართებით და თუ ცნება „კომპანიის კონკურენტუნარიანობა“ სავსებით ნათელია, ამას ვერ ვიტყვით ცნებაზე „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა““ [2:210]; კრუგმანი კი, საერთოდ კითხვის ნიშანს სვამს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ტერმინის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით [3:23]; თვით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიდგომაც კი არ იყო ყოველთვის ერთგვაროვანი - ის ახდენდა ცნების „ტრანსფორმირებას“ (დროთა განმავლობაში ის იხვეწებოდა). ასე მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) გვამღევეს ამგვარ განმარტებებს - ქვეყნის კონკურენტუნარიანობა: ეს მისი შესაძლებლობაა მიაღწიოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ -ის მდგრად, მაღალ ტემპებს (1996); ეს ქვეყნის ფაქტორების, პოლიტიკისა და ინსტიტუციების ანაკრებია, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში მწარმოებლურობის დონეს (2006); ბოლოდროინდელი განმარტება კი ასეთია: „ნაციონალური კონკურენტუნარიანობა ეს ქვეყნისა და მისი ინსტიტუციების შესაძლებლობაა უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპები საშუალოვადიან პერსპექტივაში“; მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD) ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში მოიაზრებს ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობას შექმნას და მხარი დაუჭიროს გარემოს, რომელშიც წარმოიქმნება კონკურენტუნარიანი ბიზნესი; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საერთო განმარტება კონკურენტუნარიანობის ასეთია: კონკურენტუნარიანობა - ეს კომპანიის, დარგის, რეგიონის, ნაციის შესაძლებლობაა შექმნას შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების შედარებით მაღალი დონე და, ამასთან, დარჩეს გახსნილი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის.

მიკრო და მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობისგან განსხვავებით, ეროვნული - ქვეყნის დონეზე (მაკროდონეზე) - კონკურენტუნარიანობა არ არის მხოლოდ ცალკე რომელიმე ეკონომიკური სუბიექტისა (სუბიექტების) თუ ინსტიტუციების კონკურენტული შესაძლებლობა (ან კონკურენტუნარიანობა), არამედ მოიცავს მათ. ანუ ის კომპლექსური ცნებაა, რომელიც აერთიანებს რიგ

მდგენელებს, რომელიც ახასიათებს ეროვნული ეკონომიკას. უფრო კონკრეტულად, ჩვენი აზრით, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეს არის ერთობლიობაში მიკრო, მეზო და მაკროსუბიექტების - ცალკეული ფირმების, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული საწარმოების, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების (კლასტერების), დარგებისა და მათი გაერთიანებების, სხვადასხვა ბაზრებისა და საბაზრო (ეკონომიკური) ინსტიტუციების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების - საქმიანობის შედეგი, რომლებიც საბოლოოდ აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.

დომინირებადი მოსაზრებების საფუძველზე, ჩვენი შეხედულება, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ცნებასთან დაკავშირებით ასეთია: ეროვნული კონკურენტუნარიანობა ეს არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც: ქვეყნის საწარმოები, წამყვანი დარგები და მათი კომპლექსები ფლობენ მიმდინარე კონკურენტუნარიანობას და მომავალ (პერსპექტიულ) შეფარდებით უპირატესობას (კონკურენტულ უპირატესობას) ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; მიღწეულია გრძელვადიანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის მგრადი, შეფარდებით მაღალი დონე; ქვეყნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუტები მოქნილი და მაღალეფექტურია; მთლიანად ეკონომიკურ სისტემას აქვს შესაძლო ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტაციის უნარი და მიდრეკილია ინოვაციებისა და განახლებისადმი.

ისმება კითხვა: თუ რომელი დონე წარმოადგენს მთავარს კონკურენტუნარიანობის საფეხურებს შორის საქართველოში? ჩვენი აზრით, ტრანსფორმირებად ეკონომიკაში, კონკურენტუნარიანობის ყველა დონის საფუძველსა და მის სხვა საფეხურებთან დამაკავშირებელ ძირითად როგოლს წარმოადგენს მეზოდონე. ანუ მთავარია საწარმოებმა, დარგებმა (მათმა კომპლექსებმა), რომლებზედაც სპეციალიზდება ქვეყანა, დომინირებადმა მიმართულებებმა, რომელიც ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის, მისი ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ უნდა შეძლონ იმ რაოდენობის კონკურენტული პროდუქციის შექმნა და რეალიზაცია, რომელიც ეკონომიკის ყველა სუბიექტს - დასაქმებულებს, რესურსების მიმწოდებლებს, თვით საწარმოსა (დარგებს) და სახელმწიფოს მოუტანს საკმარის შემოსავლებს. არ არსებობს კონკურენტუნარიანობა მაკროდონეზე თუ ის არაა მიღწეული მის დაბალ ერარქიულ საფეხურზე. თუმცა, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობა ვერ მიიღწევა მეზოდონეზე თუ სახელმწიფოს დონეზე არ არის შექმნილი მისი უზრუნველყოფისთვის გარკვეული წინაპირობები. ეროვნული კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნწილად განისაზღვრება ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობით. თავის მხრივ ქვეყნის კონკურენტუნარიანი ეკონომიკა ქმნის დამატებით უპირატესობას ცალკეული კომპანიებისთვის ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით, ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკითა და საშინაო და საგარეო ბაზრის მუდმივი გაფართოებით.

ამგვარად, საქმე გვაქვს ერთგვარ ჩაკეტილ წრესთან, რომელშიც მთავარი მაინც საწარმოს (მეზო) დონეა. მისი როლი განვითარებად ეკონომიკაში, სადაც კონკურენტუნარიანობა მის ყველა საფეხურზე სუსტია, განსაკუთრებულია. სწორედ მან უნდა შექმნას საფუძველი სხვა დონეებისათვის. თუ უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტუნარიანობის ზრდა ამ საფეხურზე, მან შეიძლება გარკვეული კუმულაციური ეფექტიც კი მოგვცეს კონკურენტუნარიანობის დანარჩენ დონეებზე ზრდის მიმართულებით.

კონკურენტუნარიანობის დონე ძირითადად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსის, გლობალური საინოვაციო ინდექსისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ინდექსის საფუძველზე განისაზღვრება.

კონკურენტუნარიანობის ანალიზს მსოფლიოში ძირითადად ორი უმსხვილესი ორგანიზაცია ატარებს და ესენი არიან: მართვის საერთაშორისო ინტიტუტი (IMD) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). თითოეული ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს (შესაბამისად World Competitiveness Yearbook და Global Competitiveness Reports), რომელიც ეძღვნება კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ტენდენციებს. ორივე ანგარიშში მთლიანობაში გამოიყენება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების მსგავსი მეთოდოლოგიები, რომლებიც ეყრდნობიან ფაქტორების ფართო სპექტრს და განსაზღვრავენ ქვეყნის წარმატებასა და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

IMD ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზს აწარმოებს 329 კრიტერიუმისა და მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც საბოლოოდ ჯამდება კონკურენტუნარიანობის ოთხ საბაზისო ფაქტორად. ისინი თავისთავად დაყოფილია 5 ქვეფაქტორად. ეს ფაქტორები და ქვეფაქტორებია: ეკონომიკური მდგომარეობა (მაკროეკონომიკური გარემო), რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეფაქტორებს - საშინაო ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება და ფასები; სახელმწიფოს ეფექტურობა, მოიცავს - სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, ინსტიტუციური სტრუქტურა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური სტრუქტურა; ბიზნესის ეფექტურობა, მოიცავს - მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტის პრაქტიკა, ურთიერთობები და ფასეულობები; ინფრასტრუქტურა, მოიცავს - საბაზისო ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემო და განათლება.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, რომელიც აისახება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, WEF იყენებს მსგავს, თუმცა უფრო რთულ მეთოდოლოგიას. კონკურენტუნარიანობის ანალიზი დაიყვანება ბენჩმარკინგზე. ის წარმოადგენს მაკრო და მიკრო-ეკონომიკური ანალიზის სინთეზს.

ვიდრე გადავიდოდეთ WEF გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის განხილვაზე, მანამდე მიმოვიხილოთ თუ ზოგადად რას ეყრდნობა განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობა. მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ - განსხვავებულ ფაქტორებს მაგალითად, მაღალგანვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა ეყრდნობა ტექნოლოგიურ უპირატესობას (ის მიიღწევა ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორცაა ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში და ადამიანისეულ კაპიტალში; სიახლეების დანერგვისთვისა და კომპანიის ტექნოლოგიური განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო; საერთაშორისო ვაჭრობისთვის ღია სისტემა ეროვნული ინტერესების დაცვის პირობებში), მაშინ როდესაც ჩამორჩენილი ქვეყნების - რესურსულ (კავშირშია ბუნებრივი და შეძენილი რესურსების ფლობასთან) უპირატესობას (აღსანიშნავია, რომ რესურსული უპირატესობის შემდეგ ზოგი ავტორი გამოყოფს საოპერაციო უპირატესობას, რომელიც კავშირშია რესურსულ უპირატესობასთან და გულისხმობს არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ასევე ტექნოლოგიური უპირატესობის შემდეგ გამოყოფენ პროგრამულ-სტრუქტურულ უპირატესობას, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის პროგრესულ სტრუქტურასთან, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს). უფრო მეტიც, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წყარო საკმაოდ ზუსტად ახასიათებს მის ეკონომიკურ განვითარებას, რამდენადაც ისტორიულად თავდაპირველად ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა; ბუნებრივი რესურსები; წარმოების ძირითადი ფაქტორების მიწოდება და მასზე ფასები; მაღალი ფაქტორული მწარმოებლურობა და ცხოვრების ხარისხი; უახლესი ტექნოლოგი-

ბი, ეკონომიკური გარემო, ტექნოლოგიური ლიდერობა და გლობალური კონკურენტული სტრატეგია.

ისმება კითხვა - თუ ზოგადად რას ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა? ამაზე დეტალურ პასუხს გარკვეულწილად WEF ანალიზი იძლევა, თუმცა აქ მოკლედ, ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ, რამდენადაც საქართველო ვერ ფლობს მაღალ ტექნოლოგიებს, კვალიფიციურ და ინტელექტუალურ შრომას, სამეცნიერო-საკვლევ ბაზას, თავისუფალ ფინანსურ კაპიტალს და ა.შ. მას ამ ეტაპზე არ გააჩნია წინაპირობები ტექნოლოგიური უპირატესობისათვის. ისეთი საბაზისო ფაქტორების ფლობა კი, როგორცაა: იაფი მუშახელი, ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა და სხვ. ქმნიან საფუძველს რესურსული უპირატესობისათვის, ხოლო საბაზისო წარმოების ფაქტორების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები - ოპერაციული უპირატესობისათვის პერსპექტივაში.

რაც შეეხება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს. ის წარმოადგენს ქვეყანათაშორის შედარების ინსტრუმენტს (ეყრდნობა შეფარდებით ანალიზს, ინდიკატორებს) და გამოითვლება რიგი აგრეგირებული ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა რიგ ინდიკატორებს. ქვეყანათაშორის კონკურენტუნარიანობის კომპლექსური ფაქტორებიდან თითოეულს ენიჭება გარკვეული წონა, შემდეგ მუშავდება რაოდენობრივი და გამოკითხვითი მაჩვენებლების სისტემა. სპეციალური მეთოდიკის დახმარებით ქვეყნების რანჟირება ხდება სპეციალური ბალების საშუალებით. ქვეყნების რეიტინგში უფრო მაღალი რეიტინგი მოწმობს არა მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების უფრო მაღალ დონეზე, არამედ ეკონომიკური სისტემის მოქნილობაზე, რომელსაც აქვს მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებების მიმართ სწრაფი ადაპტაციის უნარი. უფრო კონკრეტულად - ის ფორმირდება 114 მაჩვენებლისაგან (კომპონენტისაგან), რომელთაგანაც 34 გამოითვლება საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემებისაგან, ხოლო დანარჩენი - კომპანიების ხელმძღვანელების გამოკითხვისაგან. ამ 114 მონაცემის საფუძველზე განისაზღვრება კონკურენტუნარიანობის 12 ფაქტორი (ინდიკატორი) - პილარი (ცხრილი 1 - ჩაშლილია სვეტი 4 -ში). ამ 12 ფაქტორის გავლენა ქვეყნებისთვის არათანაბარია (ისინი განისაზღვრება მშპ -თი ერთ სულ მოსახლეზე და ნაჩვენებია ცხრილი 1 -ის მე-3 სვეტში), ამდენად ისინი დაყოფილია 3 ჯგუფად (საფეხურებად - ქვე-ინდექსებად), რომლებიც ქვეყნების განვითარების სამ სტადიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ცხრილი 1 სვეტი 1). ქვე-ინდექსში - „ძირითადი მოთხოვნები“ შედიან 1-4 ბაზისი, ქვე-ინდექსში „ეფექტიანობის გამაძლიერებელი“ - 5-10, ქვე-ინდექსში „ინოვაციები და განვითარების ფაქტორები“ შედიან 11 და 12 ბაზისი (ცხრილი 1 სვეტი 4). განზოგადებული ქვე-ინდექსების გაანგარიშებისათვის გამოიყენება ეროვნული სტატისტიკისა და ექსპერტების მონაცემები. ინდექსის გამოთვლა ხდება სკალის მიხედვით 1-დან 7 -მდე.

**ნახ. 1. ქვე-ინდექსების წონა განვითარების სხვადასხვა სტადიებზე; საქართველოს კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, შეფასება და დინამიკა
ჯგუფებისა და ფაქტორების მიხედვით (2016-2017)**

ზოგადი ტენდენციები				საქართველო					
ეკონომიკური ზრდის სტადიები/განვითარების საფეხურები (სტადიები)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ \$)	ფაქტორების წონები სახელმწიფოს განვითარების სტადიების მიხედვით			საფეხურები - ფაქტორები (იგივე ქვე-ინდექსები)/ინდიკატორები (იგივე პილარები); თითოეული ფაქტორის (ინდიკატორის) ხვედრითი წილი ინდექსში (ქვე-ინდექსებში)	რეიტინგი (138 ქვეყნიდან)	ცვლილება რეიტინგში წინა პერიოდთან შედარებით	შეფასება (1-7)	ცვლილება შეფასებაში წინა პერიოდთან შედარებით
		I. საფეხური - ძირითადი (საბაზო) მოთხოვნები	II. საფეხური - ეფექტიანობის გამაძლიერებელი	III. საფეხური - ინოვაციები და განვითარების ფაქტორები					
1	2	3			4	5	6	7	8
I. საფეხური - ფაქტორ-მამოძრავებელი - ზრდა ფაქტორების ხარჯზე სტადია	> 2000	I. ძირითადი (საბაზისო) მოთხოვნები (40%)			46	+4	4,9	+0,1	
		1. ინსტიტუტები (25%);			43	-3	4,4	+0	
		2. ინფრასტრუქტურა (25%);			65	-4	4,1	-0,1	
		3. მაკროეკონომიკური გერემო (25%);			40	+11	5,2	+0,2	
		4. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება (25%)			64	+1	5,9	+0,1	
პირველიდან მე-2 საფეხურზე გარდამავალი	2.000-2.999	-	-	-	-	-	-	-	
II. საფეხური - ზრდა ეფექტიანობის ხარჯზე/ეფექტიანობის მასტიმულირებელი სტადია	3.000-8.999 (საქართველო)	II. ეფექტიანობის გამაძლიერებელი (50%)			69	+8	4,1	+0,1	
		1. უმაღლესი განათლება, ტრენინგი (17%);			89	-2	4,1	+0,1	
		2. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა (17%);			46	+2	4,6	+0,1	
		3. შრომის ბაზრის ეფექტიანობა (17%);			43	-11	4,5	-0,1	
		4. საფინანსო ბაზრის განვითარება (17%);			58	+10	4,2	+0,3	
		5. ტექნოლოგიური მზაობა (17%);			65	+7	4,2	+0,4	
მე-2-დან მე-3 საფეხურზე გარდამავალი	9.000-17000	-	-	-	-	-	-	-	
III. საფეხური - ზრდა ინოვაციების ხარჯზე/ინოვაციის მამოძრავებელი სტადია	< 17.000	III. ინოვაციები და განვითარების ფაქტორები (10%)			113	+5	3,2	+0,1	
		1. ბიზნესის განვითარება (50%);			102	+10	3,6	+0,1	
		2. ინოვაციები (50%).			116	+7	2,8	+0,1	
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)					59	+7	4,32	+0,1	

წყარო: <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს მონაცემები წინა - 2015-2016 პერიოდთან შედარებით 7 პოზიციით გაუმჯობესდა და მას 138 ქვეყანას შორის (2015-2016 წელს იანგარიშებოდა 140 ქვეყნიდან) უკვე 59 -ე პოზიცია უკავია 4,32 პუნქტით (ანუ 2015-2016 წელთან შედარებით გაუმჯობესდა 0,1 ქულით). მთავარი 3 ჯგუფის (ქვე-ინდექსების) მიხედვით 2016-2017 წლებში საქართველოს მდგომარეობა 2015-2016 პერიოდთან შედარებით ასეთია: ჯგუფი „ძირითადი მოთხოვნები“ - 46-ე ადგილი, 4,9 ქულა (მდგომარეობა გაუმჯობესდა ქვეყნების რეიტინგში 4 საფეხურით, ხოლო ქულებში - 0,1 -ით); ჯგუფი „ეფექტიანობის მასტიმულირებელი“ (საქართველოსთვის ყველაზე წონადი საფეხური) -69-ე ადგილი, 4,1 ქულა (მდგომარეობა გაუმჯობესდა ქვეყნების რეიტინგში 8 საფეხურით, ხოლო შეფასებაში - 0,1 ბალით); ინოვაციები და განვითარების ფაქტორები -113-ე ადგილი, 3,2 ქულა (მდგომარეობა გაუმჯობესდა ქვეყნების რეიტინგში 5 ადგილით, ხოლო შეფასებაში - 0,1 ბალით). როგორც ფაქტორებისა და მთლიანად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის დინამიკა გვიჩვენებს რეიტინგში დაწინაურება ნაკლებადაა განპირობებული მაჩვენებლის (ინდიკატორების) გაუმჯობესებით და ეს უმეტესწილად სხვა ფაქტორებითაა განპირობებული (სხვა ქვეყნების პოზიციების დასუსტება და სხვ.)

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 5,45 ქულიდან 7 ქულამდე მაჩვენებელს მიიჩნევს ძალიან მაღალ, 4,51-დან -5,44 -მდე - მაღალ, 3,51-დან 4,50-მდე - ზომიერ; 3,01-დან 3,50-მდე დაბალ, ხოლო 1-დან 3-მდე ძალიან დაბალ მაჩვენებლად. ამასთან, ფორუმი თვლის ფაქტორებს კონკურენტულ უპირატესობად, თუ რეიტინგში მოცემულ ფაქტორს (ინდიკატორს) უკავია 1-დან 50-მდე პოზიცია. მეფ-ის შეფასებებისა და კრიტერიუმების საფუძველზე განვიხილოთ ის ფაქტორები (ქვე-ინდექსები) და მდგენელები (პილარები და კომპონენტები), რომელთა დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე ყველაზე არსებითია.

თავდაპირველად განვიხილოთ **პირველი საფეხური** (ქვე-ინდექსი) - შემავალი ფაქტორი, **ფაქტორ-მამომრავებელი: ძირითადი მოთხოვნები**. მას საკმაოდ დიდი (40%) წონა უკავია მთლიან ინდიკატორში. მოცემულ საფეხურში ძალიან მაღალი მაჩვენებელი გვაქვს ინდიკატორში (პილარში) - მაკროეკონომიკური გარემო (5,2 ქულა, მე-40 პოზიცია). ის თავისთავად შედგება 5 კომპონენტისაგან, რომელთაგან ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი ფიქსირდება სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსში, ხოლო შედარებით დაბალი - ქვეყნის საკრედიტო რეიტინგსა და ინფლაციაში. ზომიერი პოზიცია გვიკავია მთავრობის ვალის კომპონენტში (ვალის მოცულობა ჩამორჩება ზღვრულ მნიშვნელობას) და ეროვნული დანაზოგის კუთხით, რაც ამაღლებს ჩვენს პოზიციას კონკურენტუნარიანობის რეინტიგში. თუმცა, მოცემულ ინდიკატორებთან დაკავშირებით ჩვენი მიდგომა ასეთია: ისინი სრულად და ცალსახად ვერ ასახავენ რეალურ სურათს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შესახებ. მაგალითად, ვალის ეკონომიკაზე რეალური „ტვირთის“ შესაფასებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რომელი სახელმწიფო ინსტიტუტები და დაწესებულებები არიან ვალის ამღებნი, როგორია ვალდებულებები კრედიტის დაფარვასთან დაკავშირებით (მომსახურების პროცენტი, ვადიანობა და ა.შ.) და, რაც მთავარია, რა მიზნით იქნა აღებული სესხი და იხარჯება ის თუ არა მიზნობრივად, რამდენად ხმარდება ის: ინსტიტუციების; რეალური, სოციალური და საბაზრო ინფრასტრუქტურის; ეკონომიკის წამყვანი სექტორების და ა.შ. განვითარებას. რა თქმა უნდა, ამ ფაქტორთა ანალიზის გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს თუ როგორი ზემოქმედება აქვს და ექნება მას კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

მსგავსი შეიძლება ითქვას სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის პუნქტზეც. საბიუჯეტო „წესრიგის“ არსებობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც საბიუჯეტო დეფიციტის არარსებობა (ზომიერი დეფიციტი) მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის წინაპირობაა, რაც თავისთავად კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, თუმცა

ამისათვის უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად დაბალანსებული ბიუჯეტის არსებობას, არამედ იმას - თუ როგორ მიიღწევა დაბალანსებული ბიუჯეტი, როგორია შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა, როგორია განსაზღვრული პრიორიტეტები და ა.შ.

ზემოთქმულის ანალოგიურად - ინფლაციის ზემოქმედებაც კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე ცალსახა ვერ იქნება ყველა ქვეყანაში მისი მიზეზებიდან, შედეგებიდან, ქვეყნის განვითარების დონიდან (განვითარებული, განვითარებადი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) და თავისებურებებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ეროვნულ დანაზოგს, აქაც შეიძლება ითქვას მსგავსი - მისი კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედება ასევე განსხვავებულია, როგორც ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (როგორც გამოკვლევები ადასტურებენ დანაზოგების დონე მეტ ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე ერთ სულ მოსახლეზე მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ვიდრე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. ამასთან, პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ თვით ეკონომიკური ზრდა დადებითად ზემოქმედებს დანაზოგებზე და - პირიქით), ასევე ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე (დანაზოგების მოცულობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებითი კორელაციური კავშირი ყოველთვის არ შეინიშნება). მაგალითად, საქართველოში დანაზოგების დონის ცვლილება რა მასშტაბით აისახება ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე დამოკიდებულია იმაზე რამდენად ტრანსფორმირება დანაზოგები ინვესტიციებად რეალურ სექტორში. განუვითარებელი ფინანსური ბაზრის, ოლიგოპოლიური საბანკო (საკრედიტო) ბაზრისა და დაბალი სტიმულების პირობებში ამის შესაძლებლობა ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში მაკროეკონომიკურ სტაბილურობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესისათვის და, ამგვარად, მთლიანად ეროვნული კონკურენტუნარიანობისათვის, თუმცა ის ქმნის მხოლოდ წინაპირობებს და თავისთავად არ უზრუნველყოფს ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდას.

ამ ჯგუფში მაღალი მაჩვენებელი გვაქვს პილარში: ჯანდაცვა, დაწყებითი განათლება (5,9 ქულა, 64-ე პოზიცია. ის თავისთავად შედეგა 10 მაჩვენებლისაგან). მართალია ის დადებითად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ მოცემული ფაქტორის ზემოქმედება სხვა ფაქტორებთან შედარებით ნაკლებად არსებითია (მოცემული პილარის წილი კი ქვე-ინდექსში თანაბარია სხვა პილარების).

ზომიერი მაჩვენებელია - ინსტიტუტებში (4,4 ქულა, 43 -ე პოზიცია). პილარი შედეგა 9 კომპონენტისაგან, რომელთაგან შედარებით კარგი პოზიცია გვიკავია ინვესტორების უფლებების დაცვის, არაოფიციალური გადასახადებისა და ქრთამის, სამთავრობო რეგულაციების ტვირთის კუთხით. ამ (განსაკუთრებით საკუთრების უფლების დაცვის) მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი წინსვლა გასულ პერიოდებთან შედარებით, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა, რამდენადაც საკუთრების ხელშეუხებლობა საბაზრო სისტემის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. მოცემულ პილართან (მაჩვენებლებთან) დაკავშირებით შეიძლება ავლნიშნოთ, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მიღწევაში საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რამდენადაც სწორედ მათ უნდა შექმნან ეკონომიკის მიკრო და მაკრო აგენტების ეფექტური ფუნქციონირებისათვის პირობები. თუმცა, უნდა ავლნიშნოთ, რომ მოცემულ პილარში მაჩვენებელში - სამთავრობო რეგულაციების ტვირთი (რომელიც ზოგადად მიჩნეულია კონკურენტუნარიანობის ხელისშემწყობ ფაქტორად) - მაღალ რეიტინგს (4,8 ქულა, მე-8 პოზიცია) ვერ მივიჩნებთ ერთმნიშვნელოვნად ქვეყნის განვითარების ხელშემწყობ (მაშასადამე კონკურენტუნარიანობის) ფაქტორად, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ტრანსფორმირებად ეკონომიკა-

ში (და არა მხოლოდ გარდამავალ ეკონომიკაში) გარკვეული რეგულაციების არსებობა სწორედ რომ აუცილებელია. მაგალითად: არასათანადო ანტიტრესტული რეგულირება, მცირე და განუვითარებელი ბაზრის პირობებში ხელს უწყობს ოლიგოპოლიების წარმოქმნას და კონკურენციის შეზღუდვას (ეს თვალში საცემია საბანკო, ფარმაცევტულ, ენერგომატარებლების, კომუნიკაციების და სხვ. ბაზარზე); საბაჟო-სატარიფო რეგულირებასა და ხარისხის კონტროლზე უარის თქმა ასტიმულირებს ექსპანსიას, ავიწროებს შიდა ბაზარს და ახშობს ადგილობრივ წარმოებას; არაეფექტური საგადასახადო სისტემა და შეზღუდული ფისკალური რეგულირება - აღრმავებს სოციალურ დიფერენციაციას, აქვეითებს მოთხოვნის მოცულობას და აუარესებს მის სტრუქტურას და ა.შ.; არასათანადო მონეტარული და სავალუტო რეგულირება - აღრმავებს ინფლაციურ და დეფლაციურ პროცესებს (რომლის მასშტაბებიც დღეისათვის საგანგაშოა) და ა. შ., რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას და სხვ.

აგრეთვე ზომიერი მაჩვენებელი (4,1 ქულა) გვაქვს პილარში - ინფრასტრუქტურა. ის შედგება 9 კრიტერიუმისაგან, სადაც მაღალი რეიტინგი ფიქსირდება 3 - სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში, სტაციონალური და მობილური სატელეფონო მომსახურებაში - მიმართულებაში. ხოლო დაბალი რეიტინგი ისეთ საკვანძო მიმართულებებში, როგორცაა - საგზაო, საპორტო, საჰაერო მიმოსვლის ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხის გავლენა კონკურენტუნარიანობის ყველა დონესა და ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში არსებითია. როგორც წესი, მსხვილ კაპიტალდაბანდებებს ინფრასტრუქტურაში თან ახლავს მასობრივი ინვესტიციები სხვადასხვა სექტორებში, რაც ახდენს ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდების გენერირებას. როგორც კვლევები ადასტურებენ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებსა და მშპ -ის ზრდის ტემპებს შორის კავშირი დადებითია. ამდენად, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები ინფრასტრუქტურულ პროექტებში, განსაკუთრებით ჩამორჩენილ მიმართულებებში (ენერგეტიკული, საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აგრო და მთლიანად ლოჯისტიკა და სხვ.), რომელთა ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე არსებითია.

რაც შეეხება **მეორე საფეხურს** (ქვე-ინდექსს) - **ეფექტიანობის მამოძრავებელს - ეფექტიანობის გამაძლიერებელს**. ის ყველაზე წონადია (50%) მთლიან ინდიკატორში. მოცემულ პილარში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობაში (4,6 ქულა, 46 -ე პოზიცია). ის თავისთავად შედგება 9 კომპონენტისაგან, რომლებშიდაც ფაქტობრივად ყველაში გვაქვს მაღალი რეიტინგი. მოცემულ პილართან და მის ზოგიერთ მდგენელებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ზემოთ თქმულის მსგავსი, კერძოდ: იმპორტის მშპ-ში მაღალ წილს (66,7%) ვერ მივიჩნევთ ერთმნიშვნელოვნად დადებით მაჩვენებლად. მართალია ის მიგვანიშნებს ეკონომიკის ღიაობის მაღალ დონეზე, თუმცა, მეორეს მხრივ, ის გვიჩვენებს, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა უკიდურესად დაბალია. ამასთან მასში ნაკლებადაა გათვალისწინებული საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორები და მაჩვენებლები, რომელთა ზემოქმედება კონკურენტუნარიანობასა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე არსებითია (მაგალითად ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა, მათი გეოგრაფიული არეალი, ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, ვაჭრობის პირობები და სხვ.); ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების სიმარტივე და მისთვის საჭირო მცირე დრო ერთმნიშვნელოვნად დადებითი მომენტია, თუმცა ბიზნესის დაწყება არ მოიცავს მხოლოდ მის რეგისტრაციას. დამწყები ბიზნესი სწორედ რეგისტრაციის შემდგომ აწყდება უამრავ წინააღმდეგობას, მაგალითად: უზარმაზარი გადასახდელებისა და ბიუროკრატიის სახით ელექტროენერჯისა თუ გაზომომარაგების ტექნიკური პირობის, არქიტექტურული პროექტების მოპოვებისათვის და ა.შ.; ცალსახად პოზიტიური მომენტია საბაჟო პროცედურების სიმძიმის მაჩვენებელში მაღალი რეიტინგი, რამდენადაც საბაჟო პროცედურების

სიმარტივე ხელს უწყობს საქონლის სწრაფ გადაადგილებას ეკონომიკურ საზღვარზე, რაც მთლიანობაში ამცირებს ექსპორტირებული და იმპორტირებული პროდუქციის ფასს და აჩქარებს საქონელბრუნვას. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით საბაჟო ტარიფების დაბალ დონესა და სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრაზე (მათში გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შესაბამისად - 0,9, მე-4 პოზიცია და 5 ქულა, მე-14 პოზიცია). საქართველოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების კუთხით აქვს ძალზე ლიბერალური მიდგომა, იმაზე ლიბერალურიც კი რაც WTO შეთანხმებებით არის გათვალისწინებული. ასე მაგალითად, საქართველომ უარი თქვა საერთაშორისო (WTO-ს) შეთანხმებებით ნებადართული ვაჭრობის რეგულირების ისეთი ლეგიტიმური საშუალებების გამოყენებაზე როგორცაა: განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები (სპეციალური, ანტიდემპინგური, საკომპენსაციო ბაჟები), რომლებიც გამოიყენება როგორც დაცვითი, საპასუხო, ანტიდემპინგური და ა.შ. ღონისძიება; სეზონური საბაჟო გადასახადები, რომელიც ძირითადად გამოიყენება აგრარული სექტორის დაცვის მიზნით და სხვ. ზელიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, საშინაო ბაზრის ჰიპერტროფიული გახსნილობა დიდ ზიანს აყენებს ქართულ ეკონომიკას.

ასევე საკმაოდ მაღალი პოზიცია ფიქსირდება შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (4,5 ქულა, 43-ე პოზიცია). ის თავისთავად მოიცავს 10 მაჩვენებელს, რომელთაგან მაღალი რეიტინგია დაფიქსირებული, ჩვენი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვან პოზიციებში - დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა, ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა და სხვ., რომელთა ხარჯზედაც მიღწეულია მაღალი რეიტინგი პილარში, ხოლო დაბალი მდგომარეობა გვიკავია ისეთ საკვანძო მიმართულებებში, როგორცაა: შრომის ანაზღაურება და მწარმოებლურობა, პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა და სხვა. ჩვენი აზრით ამ უკანასკნელ ფაქტორთა გავლენა კონკურენტუნარიანობაზე უფრო არსებითია და რეალური სურათი დამახინჯებულია. კონკურენტუნარიანობის რეალურად (და არა ინდიკატორულად) ამაღლების მიზნით აქცენტი სწორედ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე უნდა გაკეთდეს, რაც თავისთავად შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებითა და ფონდშიარაღების გაზრდითაა შესაძლებელი.

ზომიერი მაჩვენებელი ფიქსირდება - უმაღლეს განათლება, ტრენინგში (საერთო ქულა - 4,1, 89-ე პოზიცია); საფინანსო ბაზრის განვითარებასა (4,2 ქულა, 58-ე პოზიცია) და ტექნოლოგიურ მზაობაში (4,2 ქულა, 65-ე პოზიცია). მოკლედ განვიხილოთ თითოეული პილარი. უმაღლესი განათლების პილარი შედგება 10 კომპონენტისაგან, რომელშიდაც მხოლოდ ერთში - საშუალო განათლების ჩარიცხვა, % ზრდა - გვაქვს შედარებით მაღალი მაჩვენებელი. უმაღლესი და პროფესიული განათლების მაღალი დონე ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. უნდა ავღნიშნოთ, რომ პროფესიონალური დონის ამაღლება მთლიანი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია. როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ლიდერებს წარმოადგენდნენ ის ქვეყნები, რომელთაც გააჩნდათ მოსახლეობის განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, კულტურის, სულიერების და ა.შ. მაღალი დონე. საქართველო გამოირჩევა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების მაღალი რიცხოვნებით, თუმცა სწავლების ხარისხი ნაკლებად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. ამასთან, საგანმანათლებლო სისტემა ნაკლებადაა ადაპტირებული შრომით ბაზართან. შესაბამის ინდიკატორებში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სწორედ მისი მაჩვენებელია. განათლების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. როგორც კვლევები ადასტურებენ განათლებაში ინვესტიციები ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე, ინოვაციურ პოტენციალზე. განათლებული პერსონალი (ინჟინრები, მუშები, მენეჯერები და სხვ.) უფრო ეფექტურად ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს ყველა მიმართულებით და ა.შ. ამდენად, ის ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების, მწარმოებ-

ლურობის ზრდას, რომელიც კონკურენტუნარიანობის საფუძველია ყველა დონეზე. ამდენად, უნდა გაიზარდოს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებების მოცულობა საგანმანათლებლო სფეროში რაც უდაოდ მოგვცემს ეფექტს მხოლოდ შედარებით ხანგძლივადიან პერსპექტივაში.

პილარი საფინანსო ბაზრის განვითარება მოიცავს 8 ინდიკატორს, რომლებშიც, გარდა სამართლებრივი უფლებების ინდექსისა, გვაქვს დაბალი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ განვითარებული საფინანსო სექტორი უზრუნველყოფს თავისუფალი ფულადი რესურსების განაწილებას ეკონომიკის იმ სექტორებში, სადაც ამის საჭიროება ყველაზე დიდია. თუმცა, საფინანსო ბაზარი ვერ ასრულებს მის ძირითად ფუნქციას, რაც ასახულია კიდევ შესაბამის პილარსა და მდგენელებში. მის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ: საბანკო-საკრედიტო ბაზრზე დაბალი კონკურენცია (ბაზრის ოლიგოპოლიური სტრუქტურა), საფონდო ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა, არასათანადო რეგულაციები, საშინაო დანაზოგების დაბალი დონე და სხვ.

რაც შეეხება პილარს - ტექნოლოგიური მზაობა, ის შედგება 7 ინდიკატორისგან, რომელთაგან მისაღები პოზიცია გვიჭირავს მხოლოდ ინტერნეტის სისწრაფეში, ხოლო ისეთ ინდიკატორებში (ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების გამოყენება წარმოების დონეზე და სხვ.), რომელთა ზემოქმედება კონკურენტუნარიანობაზე გაცილებით არსებითია, შეფასება მიზერულია.

ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტურ გზად მიგვაჩნია მსხვილი სახელმწიფო სალიზინგო კომპანიების შექმნა, რომლებიც მოიპოვებენ და მიაწვდიან ინფორმაციას ადგილობრივ კომპანიებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ, შეღავათიანი ფასებითა და პირობებით უზრუნველყოფენ მეწარმე-სუბიექტებზე თანამედროვე მანქანა-მოწყობილობების მიწოდებას. ჩვენი ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე უფრო ეფექტური იქნება არა იმდენად ახალი ტექნოლოგიების შექმნა (ჩვენ ამისათვის საკმარისი არც ფინანსური და არც ინტელექტუალური რესურსი არ გაგვაჩნია), არამედ უკვე არსებულის პრაქტიკაში დანერგვა-გამოყენება. ანუ გამოყენებულ უნდა იქნას ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. „დუბლირების სტრატეგია“. სწორედ ასეთი სტრატეგია მოგვცემს საშუალებას შედარებით დაბალი დანახარჯებით და სწრაფად მივიღოთ მაღალი უკუგება და ეფექტი.

მალიან დაბალია მაჩვენებელი ბაზრის მოცულობაში (საერთო ქულა 3, მსოფლიო რეიტინგში 101 პოზიცია). ის შედგება მხოლოდ 4 ინდიკატორისგან, ყველა მათგანში ჩამორჩენა საკმაოდ შთამბეჭდავია. ამ პილარში მთლიანობაში გვაქვს დაქვეითება, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად ეკონომიკის აბსოლუტური და შეფარდებითი ზომა, ბაზრის მსყიდველუნარიანობა და მასშტაბები შემცირებულია. ბაზრის მოცულობა ძირითადად დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნებაზე, მშპ-ის სიდიდეზე, მშპ-ის მოცულობაზე ერთ სულ მოსახლეზე და სხვ. ვიწრო საშინაო ბაზარი, მისი დაბალმსყიდველუნარიანობა, დაბალი სამომხმარებლო მოთხოვნა და მისი არახელსაყრელი სტრუქტურა ადგილობრივი დარგების განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია, რაც უარყოფითად აისახება კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. ბაზრის მასშტაბებისა და მისი ხარისხობრივი გაზრდის შესაძლებლობები კი შეზღუდულია. თუმცა ამ მხრივ რესურსი მაინც არსებობს, კერძოდ, ერთის მხრივ, შესაძლებელია ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მათი მხრიდან ბაზრის იმ სეგმენტების მოპოვება, რომლებიც მათ უცხოურ კონკურენტებს უკავიათ, და საშინაო მოთხოვნის სტიმულირება ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით (უპირველესად იმპორტჩანაცვლების სტრატეგიის გამოყენებით), ხოლო, მეორეს მხრივ, შესაძლებელია ექსპორტორიენტირებული დარგების სტიმულირება (ექსპორტორიენტირების პოლიტიკის

გამოყენებით), ბაზრის გაფართოება ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით მსხვილი ბაზრების მიმართულებით.

რაც შეეხება **მესამე საფეხურს - ინოვაციის მამოძრავებელს - ინოვაციებს და განვითარების ფაქტორებს**. მოცემული ქვე-ინდექსის (ფაქტორის) წილი მთლიან ინდექსში საკმაოდ დაბალი - 10 პროცენტია (რამდენადაც საქართველო შედის ქვეყნების ჯგუფში, რომლის მშპ-ის წილი 1 სულ მოსახლეზე 3.000 -დან 8.999 დოლარის შუალედშია - იხ ცხრ.1). ამდენად მოცემული ფაქტორი ნაკლებად განსაზღვრავს ჩვენს პოზიციას გლობალური კონკურენტუნარიანობის საერთო ინდექსში. თავისთავად მოცემული პილარი შედგება 9 კომპონენტისაგან და თითოეულის რეიტინგში წლების განმავლობაში მდგრადად გვიკავია აუტსაიდერული პოზიცია. რამდენადაც, ეროვნული კონკურენტუნარიანობის საფუძველს დღეს-დღეობით წარმოადგენს სხვა (მათ შორის ზემოთ განხილული) ფაქტორები, ვიდრე ინოვაციებია, ამდენად ჩვენ მოცემულ პილარზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

ამგვარად, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ასეთია: 1) მართალია მთლიან ინდექსში ქვე-ინდექსების წონა განსხვავებულია ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ერთ სულ მოსახლეობაზე მშპ-ს შესაბამისად აშშ დოლარებში, თუმცა, რამდენადაც ამ ნიშნით დაჯგუფებულ თვით ამ ქვეყნებს შორის განსხვავება ძალზე დიდია (განსაკუთრებით განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის) და ანალიზში გამოყენებულ კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორთა ზემოქმედება განსხვავებულია (თვით განვითარების ერთმანეთთან ძალზე ახლოს მყოფ ქვეყნებს შორისაც კი) მათი ეკონომიკების თავისებურებებიდან გამომდინარე, ამდენად შეფარდებითი სიდიდეები ვერ მოგვცემენ რეალურ სურათს ქვეყანათა შეფარდებითი კონკურენტუნარიანობის შესახებ. ამგვარად, მხოლოდ ეროვნული შემოსავლის კრიტერიუმით ქვეყნების დაჯგუფება კონკურენტუნარიანობის მდგენელების მაჩვენებლების განსასაზღვრავად არაა საკმარისი; 2) ქვეინდექსში/პილარში შემავალ პილარებს/კომპონენტებს თანაბარი წონა აქვთ მაშინ, როდესაც მათი ზემოქმედების ხარისხი შეიძლება ცალკეული ქვეყნისთვის განსხვავებული იყოს მათი ეკონომიკათა (და არა მარტო) სპეციფიკიდან გამომდინარე; 3) შეფასების ბევრი ინდიკატორი გვიჩვენებს ზოგად ტენდენციებს და სრულად და ცალსახად ვერ ასახავს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ვერ ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებს; 4) მასში მრავლადაა შესული არაეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც მართალია განსაზღვრავენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, თუმცა მათი ზემოქმედების ხარისხი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, როგორც ეს შეფასების მეთოდოლოგიაშია წარმოდგენილი; 5) ზოგ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი არარსებითი ფაქტორის ზემოქმედება გადამეტფასებულია, მაშინ, როდესაც ზოგიერთის - არასაკმარისადაა შეფასებული; 6) ინდექსის გაანგარიშებისას არაა გათვალისწინებული სხვა მრავალ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორთა ზემოქმედება; 7) ზოგი ფაქტორი მიჩნეულია კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობ ფაქტორად, თუმცა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებიდან გამომდინარე პირიქით, - ხელს უშლის მას; 8) ინდიკატორები უპირატესად გვიჩვენებენ შედეგს და ნაკლებად - მიზეზს; 9) წარმოდგენილი რეიტინგი იდეაში ასახავს არსებულ მდგომარეობას, თუმცა ის ეყრდნობა მრავალი ისეთი ფაქტორის ანალიზს, რომლებიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას უფრო პერსპექტივაში განსაზღვრავენ ვიდრე აწმყოში. ამდენად ნაკლებად შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს კონკურენტუნარიანობის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობა; 10) დაბოლოს, მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ის უფრო არის სარეიტინგო მაჩვენებელი, ვერ იძლევა საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას და

მხოლოდ მასზე დაყრდნობით ნაკლებადაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მკაფიო სტრატეგიის შემუშავება.

ამგვარად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი უნდა გამოვიყენოთ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზოგადი ტენდენციების განსასაზღვრავად, ხოლო უფრო მკაფიო ანალიზისათვის მასში საჭიროა შეფასებისა და ანალიზის სხვა მექანიზმების ჩართვა, რომლებიც უფრო სიღრმისეულად გაითვალისწინებენ ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Райзберг Б.А. Курс управления экономикой.- СПб.: Питер, 2003. с.86-87.
2. Портер Майкл и Кетелс Кристиан, Конкурентоспособность на распутье: направления развития российской экономики, 2010. 305, ст.
3. Krugman, P. Making Sense of the Competitiveness Debate, Oxford Review of Economic Policy, Oxford University Press, 1996, 12(3), 17--25.